საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაღრაძე მურთაზ ვახტანგის ძე

მაღრაძე მურთაზ ვახტანგის ძე (დ. 18. V. 1942, სოფ. ლეღვანი, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (2000), პროფესორი (2000). დაამთავრა თსუ-ის საინჟ.-ეკონ. ფაკ-ტი (1969). 1972-იდან მუშაობს იქვე, იყო საინჟ.-ეკონ. ფაკ-ტის ეკონომიკური ინფორმატიკის კათედრის დოცენტი (1980–88; 1990–2000), უფრ. მეცნიერი თანამშრომელი (1988–90), ამავე კათედრის გამგე (1994–2006), ეკონ. და ბიზნესის ფაკ-ტის კათედრის სრული პროფესორი (2006–09). 2009-იდან ამავე ფაკ-ტის მოწვეული პედაგოგი, ემერიტუსია. იყო თსუ-ის დიდი სამეცნ. საბჭოს წევრი (1994–2005). არის ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესის` რედკოლეგიის წევრი (2008-იდან დღემდე).

მ. ავტორია სამეცნ. ნაშრომების, რ-ებიც ეხება საზოგადოების ინფორმატიზაციის პრობლემებს. მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახ. მედალი (2009), ღირსების ორდენი (2013).

თხზ.: სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინფორმატიზაცია (თეორია და პრაქტიკა), თბ., 1999; კათედრის მართვისა და ფაკულტეტზე კონკურსების ჩატარების ავტომატიზებული სისტემების შემუშავება და დანერგვა, თბ., 2017 (თანაავტ.).